ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 27 (54) 5 დეკემბერი 1991

## 29 ნოემბრის სესია ჩაიშალა. რატომ?

### და კიდევ, ვინ დაიცავს დეპუტატს საქართველოში?

29 ნოემბერს, სესიის დილის სხდომას უზენაესი საბჭოს სპიკერი, ბატონი აკაკი ასათიანი თავმჯდომარეობდა. სხდომის დასაწყისში მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით განცხადება გაუკეთებია და დეპუტატებისათვის საზოგადოების სამი უდანაშაულო წევრის დაპატიმრების შესახებ მოუხსენებია ბატონ თამაზ ობგაძეს.

ამ საკითხის განხილვის დროს პრეზიდენტის ბრძანებით დეპუტატ ვაჟა ადამიასთვის, რომელიც მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე გახლავთ, მიკროფონი გამოურთავთ. დეპუტატთა ერთმა ნაწილმა ყოველივე ეს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევად და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებში ჩარევად ჩათვალა.

დეპუტატმა ნათელა ქუთელიამ პროტესტი გამოთქვა ბატონ აკაკი ასათიანის მიმართ იმის გამო, რომ იგი ხშირად აძლევს ოპოზიციის წარმომადგენლებს სიტყვას, რაც უმრავლესობას ხელს უშლის მუშაობაში. თავის მხრივ ბატონმა აკაკი ასათიანმა დასვა საკითხი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

სესიის სხდომაზე მოწვეული სტუმრის, ბატონ გია მაისაშვილის რეპლიკას გია ხავთასის პასუხი მოჰყოლია და მათ შორის გამართულ პოლემიკას დარბაზში არეულობა გამოუწვევია, რის შედეგადაც სესიის სხდომა შეწყდა.

შესვენების შემდეგ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ნემო ბურჭულაძეს სესიის სხდომის გადადების მიზეზად ბატონ აკაკი ასათიანის ავადმყოფობა დაუსახელებია.

ძვირფასო მკითხველო, ჟურნალისტებისათვის ხელისუფლების მიერ ბლოკირებული სესიის [illegible] შეუღწევლობის გამო, სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ სხდომიდან გამოსული დეპუტატების ნაამბობით დავკმაყოფილდეთ.

უზენაესი საბჭოს სესიის 29 ნოემბრის სხდომაზე მომხდარი ინციდენტის გამო კომენტარი მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარეს, დეპუტატ ვაჟა ადამიას ვთხოვეთ.

— საუბედუროდ, საქართველოს პრეზიდენტი ვერავითარ სამართლიან შენიშვნას ვერ იტანს. ჩვენი საზოგადოების მიერ გაკეთებული განცხადების ირგვლივ გამართული ცხარე კამათის დროს მას სურდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საზოგადოების უკანონოდ დაპატიმრებული სამი წევრი კანონის დაცვით იყვნენ თავისუფლებააღკვეთილნი და მოსახლეობისათვის საშიშ პიროვნებებს წარმოადგენენ, რაც ჰეშმარიტება არ გახლავთ.

სესიის სხდომაზე ჩემი გამოსვლის დროს ბატონ ზვიად გამსახურდიას ბრძანების შედეგად მიკროფონის გამორთვა და კიდევ უამრავი ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ პრეზიდენტი საკუთარ პიროვნებას კონსტიტუციაზე მაღლა აყენებს.

რადა შორს წავიდე. შესვენების დროს, ჩემდა უნებურად მოწმე შევიქენი ფაქტისა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ახლად არჩეული რესპუბლიკის პროკურორისაგან ჩემს მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და მერაბ კოსტავას საზოგადოების უზენაესი საბჭოდან გაწვევის საკითხის დასმას მოითხოვდა.

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია. მოქმედება დაწყებულია. 3 დეკემბრის სესიის სხდომაზე ხავთასი უკანონოდ გაწვეულ იქნა. ცდილობენ მერაბ კოსტავას საზოგადოება კრიმინალურ ორგანიზაციად წარმოადგინონ.

— 29 ნოემბრის შემდეგ, თუ შეგიძლიათ ბატონ აკაკი ასათიანთან შეხვედრის საშუალება? რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს როგორ გრძნობს თავს?

— იმავე ღამით მოვინახულე ბატონი აკაკი, ეტყობოდა დაბნეულობა. ჩემის ფიქრით, პრეზიდენტის მხარდამჭერი უმრავლესობის მასთან დაპირისპირების მიზეზი ვერ გაერკვია.

რაც შეეხება ჯანმრთელობას, დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ესაჭიროება სიმშვიდე, რათა მოიკრიბოს ძალ-ღონე და დაუბრუნდეს იმ საქმიანობას, რომელსაც პრეზიდენტი განუსაზღვრავს.

ჩვენი კორესპონდენტი

## 3 დეკემბრის სესია

## ახალი სიურპრიზებით

3 დეკემბერს, საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდენტის თაყვანისმცემელ ქალთა ორგანიზებული, აგრესიული მოქმედების შედეგად რამდენიმე დეპუტატი, მათ შორის მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი ვაჟა ადამია და ამავე საზოგადოების წევრი ბატონი გიორგი ხავთასი სხდომას ვერ დაესწრნენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით დეპუტატ დათო კუპრეიშვილს სიტყვიერი განცხადებით მიუმართავს სხდომის თავმჯდომარისათვის. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ნემო ბურჭულაძეს, რამდენად სასაცილოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, შენობის გარეთ დარჩენილ დეპუტატთა შესახებ უთქვამს: შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვერ შეძლო მათი დარბაზში შემოყვანა და მე როგორ მოვახერხოო.

შესაძლოა, ბატონ ნემოს მართლაც არ შეეძლო ქუჩაში მდგომი დეპუტატების დახმარება, მაგრამ ვფიქრობთ, დარბაზში მყოფ პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს (მათი სურვილის შემთხვევაში) არ უნდა გასჭირვებოდათ შენობის პიკეტირების მოხსნა. აღსანიშნავია, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც თბილისში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული, ხოლო სახელმწიფო შენობების ბლოკირების და პიკეტირების ბრალდების საფუძველზე დაპატიმრებულნი არიან კინოოპერატორი, ბატონი გიორგი ხაინდრავა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე და მთავარი კომიტეტის წევრი, ბატონები გიორგი ჰანტურია და მამუკა გიორგაძე... უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ მთავრობის სახლის ბლოკირება და პიკეტირება დღევანდელ ხელისუფლებას ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია.

პრეზიდენტის ერთგული ქალბატონები სიტუაციას მართავდნენ მთავრობის სახლის ეზოში, ეზოში და როგორც ამბობენ „თეთრი გიორგის" სახელით მოქმედი ორგანიზაციის წევრებთან ერთად სხდომის დარბაზშიც კი.

ამ ფაქტისა და იმის გამო, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით დეპუტატთა გარკვეულ რაოდენობას (დაახლოებით 35 კაცი) არ მიეცა კამათში მონაწილეობის საშუალება, პროტესტის ნიშნად დარბაზს ტოვებენ მერაბ კოსტავას საზოგადოების, „ქარტია 91"-ის, „დემოკრატიული ცენტრის" წევრები და დამოუკიდებელი დეპუტატები.

დეპუტატებისათვის შენობიდან გამოსვლა არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე სესიის სხდომის დარბაზში შეღწევა. მხსნელთა გამოჩენის მომლოდინენი, დატყვევებულნი რამდენიმე საათის განმავლობაში რუდუნებით ითმენდნენ ათასგვარ შეურაცხყოფას.

როგორც ხედავთ, სესიის ყოველი სხდომა ახალ-ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს.

ნეტა, რა გველის მომავალში?

თამრიკო მოლაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის

## განცხადება

1991 წლის 3 დეკემბერს, უზენაესი საბჭოს სესიაზე, ბატონმა ნემო ბურჭულაძემ, რომელიც თავმჯდომარეობდა სხდომას, განაცხადა, რომ სხდომის დასაწყისისათვის რეგისტრაცია გაიარა ასოცდაშვიდმა დეპუტატმა, ქვორუმი არის და სხდომა უფლებამოსილია დაიწყოს მუშაობა.

სხდომის დასაწყისშივე ცხადი გახდა, რომ მუშაობა შეუძლებელია. კერძოდ, იმიტომ, რომ სხდომის წარმმართველთა მოქმედებაში თავიდანვე გამოიკვეთა აბსურდამდე მისული სამი წინააღმდეგობრიობა:

1) სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ნემო ბურჭულაძემ, არა მარტო აკრძალა განცხადებები სხდომის დასაწყისში, არამედ ყველა განცხადება (მათ შორის დღის წესრიგის შესახებ) გადაიტანა „სხვადასხვაში", რომელიც არის დღის წესრიგის ბოლო მომენტი, როცა ყველა საკითხი ამოწურულია.

2) აბსურდული და წინააღმდეგობრივი იყო ისიც, რომ სხდომაზე არ შეუშვეს (მოპიკეტე ქალებმა, რომლებსაც არ შეეწინააღმდეგა მთავრობა და ხელისუფლება) სწორედ ის დეპუტატები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იყო მსჯელობა დღის წესრიგის პირველ საკითხზე) სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებაზე, იმიტომ, რომ ბატონები ვაჟა ადამია და გია ხავთასი სხდომის ყველა სხვა დამსწრისაგან განსხვავებით, უშუალოდ არიან აქტიური მონაწილეები იმისა, რაც სამაჩაბლოში ხდება. გარდა ამისა, სხდომაზე გია ხავთასის პერსონალური საკითხიც გადიოდა.

3) დღის წესრიგის ერთ-ერთი პირველი საკითხი გახლდათ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაშლისა და მათ წინააღმდეგ დასჯელი ზომების შესახებ, და სწორედ ამ სხდომაზე დარბაზში შემოიყვანეს ახალგაზრდების მოზრდილი ჯგუფი, რომლებმაც საშვის მაგიერ სიტყვიერად განაცხადეს — „თეთრი გიორგის" (ანუ ერთ-ერთი დაუკანონებელი შეიარაღებული ფორმირების) წარმომადგენლები ვართო.

სწორედ ამიტომ და არა პრინციპული პროტესტის, ან ზნეობრივი ზემოქმედების მიზნით, ოცდაჩვიდმეტმა დეპუტატმა დატოვა სხდომა.

ამის შემდეგ არ ჩატარებულა ხელახალი რეგისტრაცია ქვორუმის დასადგენად. გარდა ამისა, სესიაზე დამსწრე დეპუტატთაგან ზოგს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

სხდომაზე განიხილეს და ხელახლა უყარეს კენჭი ზოგიერთ იმ საკითხსაც, რომელიც წინა შეწყვეტილ სხდომაზე კენჭისყრით ვერ გავიდა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის 3 დეკემბრის სხდომა ჩატარდა რეგლამენტის უხეში დარღვევით, ამდენად, არის არაკანონიერი, რის გამოც, ყველა მისი გადაწყვეტილება ბათილად უნდა გამოცხადდეს.

უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის" წევრები:

ნოდარ ნათაძე, რომან გოცირიძე, დავით არევაძე, გივი ლომჯანიძე, ანზორ სიჭინავა, დავით ბერძენიშვილი, თამაზ დიასამიძე, აკაკი ბობოხიძე, პაატა კოღუაშვილი, ავთანდილ იმნაძე.

უზენაესი საბჭოს ფრაქცია „ქარტია-91"-ის წევრები:

თედო პაატაშვილი, ბელა ჩოხბოლაშვილი, მალხაზ კვანჭილაშვილი, თინათინ დიასამიძე, ბელა კობერიძე, ირაკლი მელაშვილი, ბეჟან აზესაძე, მალხაზ დვალიშვილი.

დეპუტატები მერაბ კოსტავას საზოგადოებიდან:

ვაჟა ადამია, გია ხავთასი, დავით კუპრეიშვილი, თამაზ ობგაძე, მალხაზ ხუციშვილი, არჩილ მაჭავარიანი, ზურაბ ბიბილაშვილი, ნუგზარ კვაჭაძე, ანზორ საკანდელიძე, გივი ურიათმყოფელი, ჯემალ საჯაია, გია სუხელიანი, ეთერ ქაველაშვილი, სალომე ზვიადაძე.

უზენაესი საბჭოს დეპუტატები:

რუსლან ლონდაძე, მაია ნათაძე, ხვედრი ინასარიძე, ავთანდილ კოპაიაშვილი, ზურაბ კანდელაკი.

ვისაც სურს „ჩვენთა ამბავთა ცნობა"
— იკითხოს გაზეთი „საქართველო"!
ვისაც სურს ერის „ჭმუნვა და თმობა" გაიგოს
— იკითხოს გაზეთი „საქართველო"!,
ვისაც სურს „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს"
— იკითხოს გაზეთი „საქართველო".
ვისათ სურს ისმინოს ხმა სიმართლისა
— იკითხოს გაზეთი „საქართველო".
ამიტომ, იჩქარეთ,

## გამოიწერეთ!

## გამოიწერეთ!

## გამოიწერეთ!

# გაზეთი „საქართველო"

(ხელმოწერის წლიური ფასი 12 მანეთი).

85

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ბურჭულაძეს

# ღია წერილი

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო!
ბატონო თავმჯდომარის მოადგილევ!

ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ თქვენ მიერ წარმოებული პოლიტიკა მრავალ არსებით საკითხში მე საქართველოსთვის საზარალოდ მიმაჩნია, კერძოდ, თქვენი ადმინისტრაციის პასიურობა საბჭოთა კავშირისაგან და რუსეთისგან ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნაში (და არა მხოლოდ თხოვნაში), თქვენი ეკონომიკური ტაქტიკა და თქვენი საერთო მიმართულება საქართველოში ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებისაკენ. მოგეხსენებათ ისიც, რომ მე არ მწამს თქვენი ადმინისტრაციის სიმტკიცე „ერთობლივი ეკონომიკური სივრცის“ ხელშეკრულების პროექტის ხელმოწერაზე უარის თქმის საკითხში, ასევე არ ვმალავ, რომ თქვენს ადმინისტრაციას ვდებ ბრალს სექტემბერ-ოქტომბრის ძმათა სისხლისმღვრელ შეტაკებებში ქართველებს შორის. არც იმას ვმალავ, რომ თქვენს ადმინისტრაციას დანაშაულად ვუთვლი პოლიტიკური პატიმრების ყოლას და მისი მხრიდან ველი ახალი უკანონო და ულმობელი რეპრესიების მცდელობას თავისუფალი აზრის და პოლიტიკური ოპონენტების მიმართ. მიუხედავად ყოველივე ამისა, მე გაუცდენლად ვმონაწილეობ უზენაესი საბჭოს სხდომებზე, ვიმედოვნებ რა, რომ, განურჩევლად კენჭისყრის შესაძლო შედეგებისა, ყოველთვის შევძლებ დეპუტატებს ჩემი აზრი შევაწიო, თუკი მაქვს საქმისათვის სასარგებლო მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. მაგრამ იმან, რასაც 3 დეკემბერს ვუყურე უფრო ხანგრძლივად და უფრო დეტალურად, ვიდრე ადრე მენახა, საბოლოოდ დამარწმუნა, რომ აწ არსებულ პირობებში უზენაესი საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა ოპოზიციონერი ან „ოპოზიციონერი“ დეპუტატისთვის ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსების შეურაცხმყოფელია. თქვენ თქვენი პოლიტიკური მიზნებისათვის მიმართავთ მოქალაქეების ორგანიზებას ხულიგნური აქციებისთვის, რათა მოახდინოთ დეპუტატთა შანტაჟირება და ხელოვნურად ჩააბათ ისინი ურთიერთობაში ისეთ ჯგუფებთან, რომლებთანაც თვით კონტაქტიც კი შეურაცხმყოფელია. მე კვლავაც განვაგრძობ ჩემს ცდას, რომ უზენაესი საბჭოს მუშაობას არ მოვაკლდე და ჩემი აზრი — თუკი იგი საქმეს სარგებლობას მოუტანს — დეპუტატთა კრებულს მუდამ გავაცნო. მაგრამ მე აღარ დავმალავ თქვენი ადმინისტრაციის სამარცხვინო მეთოდებს საპარლამენტო პროცესების აკრძალული მეთოდებით რეგულირების საქმეში.

ნ. ნათაძე.

# გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს

თქვენმა გაზეთმა (№ 45. 8.11.91) გამოაქვეყნა ინტერვიუ გორის რაიონის პრეფექტის მოადგილესთან ნუგზარ მაჭავარიანთან, სადაც იგი ამბობს, რომ „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ორჯერ იყვნენ ცხინვალში, ჩაატარეს მიტინგი და ითხოვდნენ მხარდაჭერას; მოუწოდებდნენ სიტუაციის დესტაბილიზაციისაკენ და შემდგომში ყველა პრობლემის მოგვარებას აღუთქვამდნენ“.

შემდეგ, ეტყობა, გაოცებული კორესპონდენტების კითხვაზე — ეს ინფორმაცია სარწმუნოა? ორჭოფულად პასუხობს — „ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან მაქვს მიღებული. ვერ გეტყვით, ამ წარგზავნილებს პარტიის მანდატი ედოთ თუ არა ჯიბეში, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი მათი სახელით ლაპარაკობდნენ“.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს გამონათქვამები საზიზღარი სიცრუე და ცილისწამებაა, რომელიც გამიზნულია ჩვენი დისკრედიტაციისათვის და საერთოდ, უნისონშია საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების კურსთან ოპოზიციასთან მიმართებაში.

გვინდა დავძინოთ, რომ ამხელა თანამდებობის კაცს სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა შეეძლოს, რომ ცხინვალში ორჯერ შესული და მიტინგის ჩამტარებელი ხალხის ვინაობა მაინც დაადგინოს, მითუმეტეს ახლა, როდესაც გაეროვნებული სუკ-იც მის სამსახურშია.

საკადრისი იქნებოდა, ჩვენც რომ გვემტკიცებინა, რომ შიდა ქართლში გაჩაღებული საბჭოურ-ოსური აგრესიის ბოლოდროინდელი ესკალაცია, სამაჩაბლოს „მოკურირე“ გორის პრეფექტის მოადგილის ბრალიაო?

ბ-ნმა მაჭავარიანმა, თუ მას სინდისის ნატამალი მაინც აქვს შერჩენილი, კეთილი უნდა ინებოს და ბოდიში მოუხადოს მკითხველებს და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის საკოორდინაციო საბჭო

9.11.91.

P.S. ეს წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“ უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ ბ-ნმა სიგუამ, დიდი ჭოჭმანის შემდეგ დაუსაბუთებელი უარით გამოგვისტუმრა. ფრიად ვწუხვართ მთავარი რედაქტორის ასეთი პოზიციის გამო და ვიმედოვნებთ, რომ ქართველ მწერალთა გაზეთი მალე პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მაღლა დადგება.

16.11.91. წელი.

# რატომ გადადგა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი?

სარედაქციო ფოსტაში მკითხველთა უამრავი წერილი დაგროვდა. გვთხოვენ, იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით მაინც შეგვატყობინოთ სიმართლე იმის შესახებ, თუ რატომ გადადგა რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ბატონი ვახტანგ რაზმაძე.

მკითხველები არ იჯერებენ იმ ფაქტს, რომ ჩვენს დროში ესოდენ დიდი თანამდებობის პირები ამა თუ იმ დიდი მიზეზის გარეშე წერენ პირად განცხადებას განთავისუფლების შესახებ...

მკითხველთა კითხვების პასუხად ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ მხოლოდ შემდეგი:

სურვილის მიუხედავად, რედაქცია ყოფილ გენერალურ პროკურორს არ დაუკავშირდა, მისთვის ინტერვიუს მიცემა არ გვითხოვია ორი მიზეზის გამო.

1. ცნობილი გახდა, რომ ბატონი ვ. რაზმაძე ამჟამად ავადმყოფობს.

2. ბატონ თენგიზ სიგუას პირადი განცხადების საფუძველზე გადადგომის შემდეგ, მან ინტერვიუ მისცა გაზეთ „დრონს“. (ამ ინტერვიუში ნაწილობრივ ახსნა თავისი გადადგომის მიზეზი) რის შემდეგაც დაიწყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ ფართო კამპანია ხელისუფალთა მხრიდან.

ეს „ისტორია“ გავითვალისწინეთ და სწორედ ამიტომაც მოვერიდეთ ბატონ ვახტანგ რაზმაძის შეწუხებას...

საერთოდ კი უნდა ითქვას, გენერალური პროკურორის გადადგომის შესახებ ქალაქში გავრცელებული ხმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მის გადადგომას საფუძვლად დაედო ზნეობრივი აქტი.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

# ხომ კარგად არიან?!

(გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას)

ბატონებო, მოგმართავთ შეშფოთებული რადიომსმენელი. ჩემი შეშფოთების მიზეზი კი შემდეგი გახლავთ: გუშინ, დღის პირველ ნახევარში, გულდასმით ვუსმინე საქართველოს რადიოს გადაცემებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ბატონ გურამ პეტრიაშვილის ხმა გამიგია, არც ბატონ ზურაბ გაგნიძისა და არც ქალბატონ ირინა ტალიაშვილის ამოდ სასმენი სიტყვა ისმოდა ეთერში.

შევწუხდი, რამე ხომ არ დაემართათ-მეთქი, და რადიოგადაცემებს შესვენების შემდეგაც გულისფანცქალით დავუდარაჯდი, მაგრამ კვლავ გავწბილდი. უმორჩილესად გთხოვთ, აცნობოთ საზოგადოებას — ჩვენს საყვარელ დეპუტატებს ხომ არაფერი ევნოთ? ხოლო თუ ისინი ჯანმრთელად გრძნობენ თავს, მაშინ რაშია საქმე?

ნუთუ საქართველოს რადიომ გადაწყვიტა, რაღაც დემოკრატობანას თამაში დაიწყოს და ერთი და იგივე პიროვნებებს აღარ მისცეს ტრიბუნა?

პატივისცემით
რადიომსმენელი.

## განცხადება

ორშაბათს, 9 დეკემბერს, 3 საათზე შედგება საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

მისამართი: ყაზბეგის ქ. № 17.

# ინტელიგენციისა და ინტელიგენტობის შესახებ

**დღეს ინტელიგენციის თაობაზე ჩვენში ატეხილი ხმაურის ფონზე, ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება შესანიშნავი ქართველი კრიტიკოსის გურამ ასათიანის მოსაზრებანი ინტელიგენციისა და ინტელიგენტობის თაობაზე.**

**უდროოდ წასული მწერლის ეს მოსაზრებანი ამოკრებილია გერონტი ქიქოძისადმი მიძღვნილი მისი წერილებიდან (იხ. „თანამედვი სულები“, თბ; 1988 წ.).**

ადამიანმა პირველ რიგში, ადამიანურობა უნდა შეინარჩუნოს და, თუ ძალა შესწევს ერთგულად, უანგაროდ უნდა ემსახუროს თავის იდეალს, თავის ღმერთს და სინდისს.

●

სიტყვა „ინტელიგენტი“ ერთ დროს განმაქიქებელ ტერმინად იქცა. ეშმაკმა უწყის, ვინ შეაულლა პირველად მასთან ეს განმგმირავი ეპითეტი, მაგრამ **ობივატელის ბრიყვულ წარმოდგენაში** ცნებები: „ინტელიგენტური“ და „უხერხემლო“ ძალიან ადვილად დაუკავშირდა ერთმანეთს.

●

„მერყევი ინტელიგენტი“, „უხერხემლო ინტელიგენტი“, „ინტელიგენტური ყოყმანი“... რამდენჯერ გვსმენია ამგვარი და კიდევ უარესი რამ, ინტელიგენტურ მანერებს, ზოგი დღესაც ივჭის თვალით უყურებს.

●

იყო ინტელიგენტი — ნიშნავს იმას, რომ შენს პიროვნებაში ატარებდე უპირატესად საკუთრივ ჰუმანურ თვისებებს, ესე იგი იმას, რაც ადამიანს დანარჩენ, მასავით ცოცხალ, მაგრამ, მისგან განსხვავებით, **აზროვნებას უნარმოკლებულ არსებებისაგან გამოარჩევს...**

●

ქართველმა ინტელიგენციამ ბევრი მძიმე განსაცდელი გადაიტანა ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე. ბევრი ღამე გატეხა ქვეყნის და ხალხის ბედზე ფიქრით, მეტად ბევრი მსხვერპლი გაიღო, ნემსის ყუნწში გაძრომაც მოუხდა, ცეცხლთან თამაშიც, მუნჯი ბარიკადის როლში ყოფნაც. მაგრამ მის საუკეთესო წარმომადგენლებს არასოდეს არ დაუკარგავთ საკუთარი მოწოდებისა და ღირსების მაღალი შეგნება.

●

როცა **ობივატელი** ყოველგვარი ყოყმანისა და შინაგანი მერყეობის გარეშე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ძლიერი პატრონების კარზე თბილი ადგილის საშოვნელად და მერე **ლაქიური** სამსახურით დაღლილს, საკუთარ ტყავზე და სტომაქზე ზრუნვით ათასი შიშით, ღალატით, მლიქვნელობით დაოსებულს ღრმა ძილით ეძინა, ინტელიგენტის თვალს რული არ ეკარებოდა. ის ხშირად მარტოდ-მარტო იყო თავის ფიქრებთან, მაგრამ მის სიფხიზლეში სხვათა წილიც ერია.

ის თავის მძინარე თანამოძმეთა მაგივრადაც ფხიზლობდა, სჯიდა, სწონიდა, წვალობდა და ყოველღამ თითო სანთელს ანთებდა მათი სულის გადასარჩენად...

●

გავიდა დრო და როდესაც შთამომავლობა წარსულად ქცეულ საუკუნეს მიუბრუნდა, მასში ჭეშმარიტ ფასეულობათა აღმოსაჩენად, ეს თეთრად გატეხილი ღამეები უფრო მკვეთრად აციაფდნენ, ვიდრე ყველა იმდროინდელი **ზარ-ზეიმის ბრწყინვალება** და საჭილდოო ოქროცურვილის მაცდური ზიმზიმი.

●

იყო ინტელიგენტი — ეს ნიშნავს იმასაც, რომ მთელი შენი არსებით შენს ხალხს, შენს წმინდა **საქმეს** ეკუთვნოდე და ამ საქმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რაც შეიძლება, ნაკლებად **ამჩნევდე საკუთარ პერსონას**, რაც შეიძლება მეტს ფიქრობდე შენს მიზანზე, შენი მოქმედების რეალურ შედეგზე.

●

ბოროტება, გულჩახვეულობა, დაცემულთადმი იეზუიტური სისასტიკე უცხოა ჩვენთვის. ასევე უცხოა ჩვენი ბუნებისათვის **ცხვრის ფარის უმწეო ფსიქოლოგია.**

ჩვენ უქრობი სინათლის შვილები ვართ და ძნელად ვეგუებით ყველაფერს, რაც ბნელი ჰალიმატის იერს ატარებს, რაც თრგუნავს და ახშობს შემოქმედი აზრის ლაღ მოძრაობას. ჩვენ ძარღვებში, ამ დიდი მზის ათინათი ციმციმებს და ჩვენ თავდავიწყებით გვიყვარს სიცოცხლე, გაზაფხული, ყველაფერი, რაც არსებობის მადლად მოგვვლენია, რაც მარადიულ ქმედებას და განახლებას მოასწავებს.

●

ჩვენთვის უცხოა ასკეტური თვითგვემა, სამყაროს ხილულ მშვენიერებაზე. მიწიერ ბედნიერებაზე უარის თქმა, მაგრამ კიდევ უფრო საძულველია ის, რაც ჭუჭყში სვრის ჩვენდამი ბუნების მიერ მომადლებულ, მაღალ სულიერ თვისებებს, რაც ცხოვრებას აზრს და სიხარულს უკარგავს.

ქართველი ინტელიგენტი ხშირად ყოფილა მშიერი. უსახსრობა, უკიდურესი ეკონომიური სიდუხჭირე მთელი გასული საუკუნის მანძილზე აჩრდილივით თან სდევდა მის არსებობას, მაგრამ ამის გამო ის არც სულიერად დაცემულა და არც **ბალღამი ჩაქცევია სისხლში.** პირიქით, ყოველივე ამან მის შეგნებას ზოგიერთი მყარი თვისება შესძინა. სხვათა შორის იმის გამოც, რომ ასეთი მდგომარეობა მას საზოგადოების მშრომელ ნაწილთან „კისერჟანგიანთა“ ნამუსიან მოდგმასთან აკავშირებდა.

●

ქართულ სინამდვილეში მოხდა იშვიათი (თუმცა არა უპრეცენდენტო), ფაქტი: საზოგადოების სულიერი აღზრდისა და აღზევებისათვის მოწოდებულ ადამიანთა რიგებს შეერივნენ პიროვნებები, რომელთაც პირადი წარმატებისა და მატერიალური კეთილდღეობის კერპი თავიანთ მთავარ ღვთაებად აღიარეს „ანტიინტელიგენტმა“ შეძლო მისთვის სანუკვარ სფეროში შეღწევა და ამ ფაქიზი მასალის შიგნიდან გამოღრღნა მოინდომა.

მაგრამ ქართველი ინტელიგენციის სალი ნაწილი ყოველთვის იქ იდგა სადაც ქვეყნის სამსახური ნამდვილ მსხვერპლს და უანგარობას მოითხოვდა.

●

ინტელიგენტური ფსიქოლოგიის გატეხვა არც ისე ადვილია, როგორც ამას მისი აბუჩად აგდებისა და გზიდან ჩამოცილების მოწადინენი ფიქრობენ. მისი შინაგანი სიფაქიზე და მგრძნობიარობა მართლა „მერყეობის“ ნიშანი როდია, არც თავმდაბლობა და აღზრდით შეძენილი თავაზიანობის ნიჰი ნიშნავს „უხერხემლობას“. თავისი ბუნებით და მოწოდებით ის ყოველთვის იყო და რჩება სულიერი უხამსობის შეურიგებელ ანტიპოდად, მის ფხიზელ, დაუძინებელ მოწინააღმდეგედ.

**იმ ქუჩაზე, სადაც ერთი ნამდვილი ინტელიგენტი მაინც ცხოვრობს, დემაგოგია ყელმოღერებული ვეღარ გაივლის...**

გურამ ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმახინჯის რეკორდები

**მხედველობაში** მაქვს, რა თქმა უნდა არა ფიზიკური სიმახინჯე (ღმერთმა აშოროს იგი). მოგახსენებთ სულიერ სიმახინჯეზე, უფრო კი — სოციალურზე, რომელმაც, თუკი დროზე ზღვარი არ დაედო, შეიძლება ერი უფსკრულში გადაჩეხოს.

მინდა წერილობით დავაფიქსირო ის, რაც ვნახე, რათა შთამომავლობას თვითმხილველის მონათხრობი ჰქონდეს წინა თაობის სირცხვილსა და სიბრმავეზე, რომლის სავალალო შედეგები, უეჭველია, ნაწილობრივ მაინც იმ ახალი თაობის ცხოვრებასაც გადასწვდება.

1991 წლის 3 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე პრეზიდენტის მხარდამჭერი ქალების ჯგუფმა სხდომაზე არ შემოუშვა დეპუტატი ვ. ადამია. დეპუტატთა მოთხოვნას, უზრუნველეყოთ დეპუტატ ადამიას შემოშვება სხდომაზე, თავმჯდომარემ ნ. ბურჯულაძემ უპასუხა, „შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ რ. გვენცაძემ ვერ შემოიყვანა, მე როგორ შემოვიყვანოო". დეპუტატთა კორპუსი კარგად იცნობს ქალების ამ ჯგუფს, რომლებიც ლანძღვა-გინებით, წყევლით, ფურთხებით, ფიზიკური შეხებით და ჰიშკარში შესასვლელის გადაკეტვით სესიებზე შესვლას და გამოსვლას უშლიან პრეზიდენტისთვის არასასურველ დეპუტატებს. დეპუტატებისთვის ნათელი იყო 3 დეკემბრის სხდომაზე დეპუტატ ვ. ადამიას არშემოშვების მოტივიც: დღის წესრიგში იყო დადგენილების მიღება ე. წ. „უკანონო ფორმირებათა" შესახებ, ანუ ისეთ საკითხზე, რომელზეც დეპუტატ ადამიას სხვებზე უფრო ფართო და პრეზიდენტის თვალსაზრისისაგან განსხვავებული ინფორმაცია ჰქონდა.

როდესაც სესიის სხდომა საპატიო მიზეზის გარეშე შეწყვეტილ იქნა 29 ნოემბერს და დაინიშნა სხდომა 3 დეკემბრისათვის, ამ სხდომის დღის წესრიგიც გამოცხადდა. მასში პირველ საკითხად შედიოდა სტუდენტების მოთხოვნების განხილვა. 3 დეკემბერს შემოგვთავაზეს დღის წესრიგი, რომელშიც სტუდენტთა მოთხოვნების განხილვა აღარ შედიოდა. არც ერთ დეპუტატს თავმჯდომარემ, ნ. ბურჯულაძემ, არ მისცა სიტყვა განცხადებისათვის დღის წესრიგის გამო და დღის წესრიგს კენჭი ეყარა განხილვის გარეშე. ეს იყო ხელისუფლების ძალმომრეობა დეპუტატთა კორპუსის მიმართ და დეპუტატების შეურაცხყოფა არა მარტო როგორც დეპუტატებისა, არამედ აგრეთვე როგორც პიროვნებებისა.

აქ აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სხდომის დარბაზი, უფრო ზუსტად კი — სარდაფში მოთავსებული ბუნკერი 3 დეკემბერს სავსე იყო პიროვნებებით, რომლებიც დეპუტატთა შორის იმყოფებოდნენ და როგორც იტყვიან „ტერორებდნენ" იმათ, ვინც თავისი ფსიქიკური წყობით „დატერორიზებადი" აღმოჩნდებოდა.

პარლამენტის ამ მასხრად აგდებამ და მისმა, როგორც მუშა ორგანოს, ამ პარალიზაციამ აიძულა დეპუტატთა დიდი ჯგუფი, მათ შორის მე, გავსულიყავით სხდომის დარბაზიდან პროტესტის ნიშნად და აღარ მიგვეღო მონაწილეობა იმ დღის სხდომაში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ პასუხისმგებელნი ვხდებოდით პარლამენტის მიერ სტუდენტებისათვის მიცემული სიტყვის დარღვევაზეც და „უკანონო ფორმირებათა" შესახებ დადგენილების მიღებაზეც სათანადო განხილვის გარეშე.

როდესაც დეპუტატთა ჯგუფმა გასვლა დავაპირეთ მთავრობის სახლის ზედა გასასვლელიდან (რომელთანაც მანქანა ახლოს მეყენა), გზა გადაგვიკეტა სხვადასხვა ასაკის ქალების ჯგუფმა. წყევლა-კრულვით და ლანძღვა-გინებით, მათ მოითხოვეს, რომ ჩვენს სადეპუტატო უფლებამოსილებაზე უარი გვეთქვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვემუქრნენ, რომ ყველა გასასვლელში ჩადგებოდნენ და გარეთ არ გაგვიშვებდნენ. ასეთივე ქალები, ოცი-ოცდაათი სული, თავმოყრილი იყო მთავრობის შენობის ეზოში, საიდაც შესვლა საშვებით წარმოებს. მათი უწმაწური ლანძღვა-გინება და წყევლა სესიიდან გამოსული დეპუტატების მიმართ არა მარტო საქართველოს მთავრობის სახლს, არამედ ქუჩასაც არ ეკადრებოდა. ეს იყო ხულიგნობა ამ დანაშაულის ყველა ნიშნით. ერთი ინტელიგენტური შესახედაობის ქალი, შუა ხნისა, ხელებით „ცხვირს" გვიჩვენებდა და „ყურებს" გვიპარტყუნებდა. მეორე ქალი, ამავე ასაკისა, ყეფისა და ღრუტუნის იმიტაციას ეწეოდა, რამდენჯერაც ოპოზიციონერი დეპუტატის ახლოს აღმოჩნდებოდა. ყოველივე ამას მშვიდად უყურებდა მილიცია, უმაღლესი თანამდებობის პირების ჩათვლით. დეპუტატებმა მოვთხოვეთ საგუშაგოზე მდგომ მილიციელებს, შინაგან საქმეთა მინისტრს და მილიციის თბილისის სამმართველოს უფროსს, უზრუნველეყოთ ჩვენთვის ქვედა, ანუ ოფიციალური გასასვლელის გაღება, რათა ოფიციალურად გავსულიყავით ტერიტორიიდან და თუ ჩვენზე კვლავ მოხდებოდა ხულიგნური თავდასხმა, ეს ყველასთვის დასანახი ყოფილიყო. მათ ეს არ გააკეთეს, ან ვერ გააკეთეს დღის პირველი საათიდან საღამოს ექვსის ნახევრამდე. როგორც მილიციელთა საუბრიდან გავიგე, გასაღები პრეზიდენტის მდივანს ჰქონია. ამგვარად, მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ სესიიდან პროტესტის ნიშნად გამოსული დეპუტატების იძულებითი გაჩერება მთავრობის სახლის ტერიტორიაზე წინასწარ ვერაგულად ჩაფიქრებული ღონისძიება ყოფილა.

მე მგონი, ამ კრიტიკულ სიტუაციას დღევანდელ მსოფლიოში ადგილი **არსად** არ მოეპოვება. სირცხვილია და სირცხვილის გარდა ვერაფერს მოიტანს. ყველაზე უფრო იმის მეშინია, ჩვენვე არ დავკარგოთ ჩვენი თავის პატივისცემა, რომელიც ერის გადარჩენის აუცილებელი პირობაა.

მე მგონი, მკითხველისთვის ნათელია „ღია წერილში" გაკეთებული იმ განცხადების მოტივი, რომელსაც ამავე ნომერში ვაქვეყნებ. (იხ. მე-2 გვ. რედ.).

ამასთან, ბოდიში უნდა მოვუხადო ჩემს ამომრჩევლებს მე-9 ოლქიდან იმისთვის, რომ სესიაზე ჩემი არყოფნის გამო ვერ აღვძარი საკითხი № 38 პურის მაღაზიის აღდგენის შესახებ.

**ნოდარ ნათაძე**

# ვისია „მეოთხე ხელისუფლება"?

**ამ ბოლო** დროს ჩვენში ხშირად წაიკითხავთ, გაიგონებთ ამგვარ გამოთქმას — **„მეოთხე ხელისუფლება"**.

ეს ფრაზა უფრო მეტად დასავლეთთან (საიდანაც შემოვიდა კიდეც) მიმართებაში იხმარება.

თავად ტერმინში კი იგულისხმება ის უზარმაზარი გავლენა, რასაც საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად საზოგადოებრივ აზრსა და ცნობიერებაზე, პოლიტიკაზე ახდენს „მეოთხე ხელისუფლება" — პრესა, ტელევიზია, მთლიანად საინფორმაციო საშუალებანი (ამ გავლენაზე, მის მასშტაბებზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის ჯეკ ანდერსონის „ვაშინგტონ ტაიმსში" დაბეჭდილი წერილით დაიწყო „უოტერგეიტის საქმე", რაც, როგორც ცნობილია, რიჩარდ ნიქსონს პრეზიდენტის პოსტის დაკარგვად დაუჯდა).

შემთხვევითი არ არის, რომ დასავლეთის თითქმის ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, **რათა თავის სასარგებლოდ გავლენა არ მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, მთავრობას უფლება არა აქვს, კონსტიტუციურად ეკრძალება ქვეყნის შიგნით იქონიოს, აკონტროლებდეს საინფორმაციო საშუალებებს.**

„მეოთხე ხელისუფლების" როლი კარგად ესმოდათ არა მარტო დასავლეთში. სწორედ იმიტომაც, რომ კარგად ესმოდათ, საბჭოთა იმპერიასა და მის სატელიტ ქვეყნებში იგი მონოპოლიზირებული იყო კომპარტიის მიერ.

თუ რაიმე დადებითი მოიტანა ე. წ. „პერესტროიკამ", „გლასნოსტმა", ის იყო, რომ საბჭოეთში, და კერძოდ საქართველოში, პრესა, ტელევიზია გარკვეულწილად განთავისუფლდა კომპარტიის დიქტატისაგან, პლურალისტური გახდა, რამაც **არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშა** შარშანდელ პრჩევნებში „მრგვალი მაგიდის" გამარჯვების საქმეში.

●

როცა ჩვენს ამჟამინდელ ხელისუფლებას საყვედურობენ, რომ იგი უარს არ ამბობს, ინარჩუნებს რიგ სოციალისტურ, კომუნისტურ სტრუქტურებს, „გადმონაშთებს", ამაში იგულისხმება ის ფაქტიც, რომ მან გაითავისა საინფორმაციო საშუალებებისადმი (განსაკუთრებით ტელევიზიისადმი) **კომუნისტურ-მონოპოლისტური პოლიტიკა.**

როცა კომპარტიის „კუთვნილი" ყველა გაზეთი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უზენაესი საბჭოს ორგანოდ გადაკეთდა, პირველ ხანებში ეს ბუნებრივად მოგვეჩვენა, მაინცდამაინც არ გაგვკვირვებია — ჩვენ ხომ შეჩვეულები ვიყავით, რომ გაზეთი ხელისუფლებისა იყო, ხელისუფლებისა უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დემოკრატიას, უფრო სწორად, დემოკრატიის ჩანასახებს „გემო გავუგეთ", მას შემდეგ, რაც გაჩნდა დამოუკიდებელი თუ პარტიული — სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებების — გაზეთები, ყოველდღიური, დიდტირაჟიანი გაზეთების (და არა მარტო მათი) უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ორგანოებად დარჩენა უკვე აღარ აღიქმება **ბუნებრივ მოვლენად** (გავიხსენოთ: რამდენიმე ხნის წინ რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე „ხელი აიღეს" უზენაესი საბჭოს გაზეთებზე — **პარლამენტს არ უნდა ჰქონდეს თავისი გაზეთი,** მას უწყებანიც ეყოფა. ასევე მრავლისმეტყველია სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგანოს, „იზვესტიას" დამოუკიდებელ გაზეთად გარდაქმნის მაგალითი. და საერთოდ, რუსეთში აღარ არსებობს ე. წ. სამთავრობო, ოფიციალური პრესა).

შეიძლება თქვან, ოპოზიციას ხომ არანაკლები რაოდენობის გაზეთები აქვს, ვიდრე ხელისუფლებასო.

ოპოზიციური, უფრო სწორად, არასამთავრობო გაზეთები მართლაც საკმაოდაა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გაზეთები **„ოპოზიციის"** არ არის, რამეთუ არცერთი მათგანი არაა ოპოზიციის, როგორც ასეთის, **„ორგანო" ან „ოპოზიციის გაზეთი". ყველა ისინი ან დამოუკიდებელი, ან ცალკეული პარტიებისა თუ საზოგადოებების გამოცემებია, და სრულიადაც არ გამოხატავენ საზოგადოდ ოპოზიციის ინტერესებსა და პოზიციებს.**

და აი, აქ მივადექით მთავარ სათქმელს: პრესა, ისე როგორც ყოველ ნორმალურ ქვეყანაში (თუნდაც არცთუ მთლად „ნორმალურ" რუსეთში) **საერთოდ არასამთავრობო არასაპარლამენტო უნდა იყოს.** სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა, როგორ გამოხატავენ უზენაესი საბჭოს გაზეთები უზენაესი საბჭოს პოზიციასა და ინტერესებს, როცა ეს უკანასკნელი სამი ფრაქციისაგან შესდგება და ორი მათგანი — „დემოკრატიული ცენტრი" და „ქარტია 91" ოპოზიციაში უდგას პარლამენტური უმრავლესობის ფრაქციას „მრგვალ მაგიდას" — იმ ფრაქციას, **რომლის პოზიციასა და ინტერესებსაც ფაქტობრივად გამოხატავენ და იცავენ კიდეც „უზენაესი საბჭოს" გაზეთები.**

ამიტომ, ვუწოდოთ საგნებს თავისი სახელი: **ოფიციალურად, აშკარად გამოცხადდეს** უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის გაზეთები **იმად, რასაც წარმოადგენენ კიდეც სინამდვილეში — „მრგვალი მაგიდის" თუ მასში შემავალი პარტია-კავშირების ორგანოებად** (როგორ გაინაწილებენ, ეს უკვე მათი საქმეა).

როგორც ხედავთ, „მრგვალ მაგიდას" გაზეთებს არ „ვართმევთ", პირიქით, მაგრამ, ამის შემდეგ, რასაკვირველია, ისინი აღარ უნდა სარგებლობდნენ სხვა გაზეთებთან შედარებით იმ განსაკუთრებული პრივილეგიებითა და ხელშეწყობით, რითაც სარგებლობენ როგორც „მთავრობისა" და „უზენაესი საბჭოს" ორგანოები.

●

ვისაც ბოლო ხანებში რაიონული გაზეთები წაუკითხავს, დამეთანხმება, თუ რაოდენ საინ[illegible] ქმიანი, გაბედული, დემოკრატიული გახდა ბევრი მათგანი. მიზეზი ამგვარი ფერისცვალებისა მარტივია — გადაიგდეს რა რაიკომებისა და აღმასკომების უღელი, ისინი, **დამოუკიდებელი, თავისუფალი გამოცემები** გახდნენ. ხოლო სადაც „ზემდგომი" ორგანოებისა და „ამხანაგების" **დიქტატი არაა, სადაც თავისუფლებაა — გაბედულებაც, დემოკრატიაც, პლურალიზმიც იქაა.**

მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?"

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 13 ნოემბრის სხდომაზე **„განიხილეს გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" და რესპუბლიკის რაიონული, საქალაქო და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის გაზეთების საკითხი. მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმად საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ორგანო გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", ამჟამად „ახალგაზრდა ივერიელი" მიჩნეულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ორგანოდ. რაც შეეხება რაიონულ, საქალაქო და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა გაზეთებს — კომპარტიის, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასკომების ყოფილ ორგანოებს, ისინი მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი ორგანოების ინფორმაციის საშუალებად"** (იხ „საქართველოს რესპუბლიკა", 20.XI 1991).

როგორც ვხედავთ, მთავრობამ ხელის ერთი დაკვრით კიდევ ერთი გაზეთი, „ახალგაზრდა ივერიელი" მიითვალ-მიითვისა „პირად ანგარიშზე" (ამასთან, უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ გაანთავისუფლა — მოხსნა მისი რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**), ხოლო მეორე დაკვრით „კომპარტიის, სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასკომების ყოფილ ორგანოებს (ამჟამად კი **დამოუკიდებელ გამოცემებს!**) ახალი, „სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი ორგანოების" **უღელი** დაადგა.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ამგვარი „ნდობის გამოცხადების" შემდეგ რაიონული, საქალაქო და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის გაზეთები, ახალი, „მრგვალი უღლის" ქვეშაც **ისეთივე უინტერესონი, არადემოკრატიულნი, არაპლურალისტულნი** გახდებიან, როგორც **ადრე**, რაიკომებისა და აღმასკომების ხელში იყვნენ (ასეთია დიქტატის ქვეშ მყოფი ყველა „ორგანოს" ბედი).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ხელისუფლებას პრესის თავისუფლება მხოლოდ **„სათავისოდ" ესმის...**

**ფელიქს კოჭიაშვილი**




**სულ** ცოტა ხნის წინ, უნივერსიტეტის ახალგაზრდა ასპირანტებისა და სტუდენტების ერთმა ჯგუფმა საფუძველი ჩაუყარა სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ „პანორამას", რომლის პირველი ნომერი უკვე წარმოადგინეს მკითხველის სამსჯავროზე.

მშვენიერი გაფორმებისა და მაღალპროფესიონალიზმის გარდა, ჟურნალი, უწინარეს ყოვლისა, შინაარსის მრავალფეროვნებით იქცევს ყურადღებას. ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზეც ჩაგაფიქრებთ იგი და ხელოვნებასა და ლიტერატურასთანაც მიგაახლოებთ, ცნობილი კინორეჟისორისა თუ ფსიქოლოგის ნააზრევსაც გაეცნობით მასში და იდუმალებით მოსილ ტიბეტურ კაბალიზმსაც; თავსატეხიც არის აქ და თავშესაქცევიც. ერთი სიტყვით, მისი გაცნობით მკითხველი უკმაყოფილო არ უნდა დარჩეს.

# გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

**ბატონო ნოდარ!**

**რადგანაც თქვენი გაზეთი არის მთლიანად დემოკრატიული პრინციპების მატარებელი და არ იზღუდება არავის აზრი, თუნდაც რამდენადმე მიუღებელი საზოგადოებისათვის, იმედი მაქვს გამოაქვეყნებთ ჩემს მცირე წერილს, რომელსაც აქვს განმარტების ხაზი, წერილს აქვე გთავაზობთ.**

**მწამს თქვენი გულისხმიერებისა და კომპეტენტურობისა. წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ.**

●

თქვენს გაზეთში წავიკითხე ქ-ნ იზა ორჯონიკიძის წერილი „მე ვიცი"... (გაზ. „საქართველო" № 25 19.XI) თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ პატივცემულ ქალბატონთან არავითარი პრეტენზიები არა მაქვს, გარდა ჩემი გულწრფელი პატივისცემისა. არც გაზეთში დასმული საკითხებისადმი მაქვს რაიმე აზრის გამოთქმის სურვილი, ეს ჩემი საქმე არ არის და ყველაფერი თვითონ მწერლების საქმეა, მაგრამ ერთ რამეზე უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება: ქ-ნი იზა ერთგან წერს, თითქოს იგრძნობა **„...ავისმომასწავებელი დაძაბულობა აჭარაში..."** მე მინდა შევახსენო იმ ავტორებს, რომლებსაც შემდგომში სურვილი დაებადებათ ისაუბრონ საზოგადოებაში მიმდინარე დაძაბულ სოციალ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პრობლემებზე, სიტუაციის „შავ ფერებში" ასახვის მიზნით, ნუ გამოიყენებენ აჭარას, რამეთუ ამან შეიძლება მართლაც და „ავისმომასწავებელი დაძაბულობა" გამოიწვიოს ამ მრავალჭირგამოვლილ კუთხეში. მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო შემდეგი: **არავითარი დაძაბულობა და არეულობა აჭარაში არ იგრძნობა, თუ არ გამოვრიცხავთ ბუნებრივ უყურადღებას ისეთი მოვლენებისადმი, რომლებსაც ადგილი აქვს თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში.**

აჭარის მოსახლეობას კარგად აქვს შეგნებული და გათვითცნობიერებული ის მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში, აჭარელი კაცი მომხრეა სიმშვიდისა, ურთიერთშერიგებისა და ურთიერთგატანისა!

მე მგონი, ყველამ კარგად უნდა გავიგოთ ის, რომ აჭარა, საქართველოს ეს ძირძველი და მრავლის მნახველი კუთხე, სრულიად საქართველოს სასიცოცხლო არტერიის ერთერთი ნაწილია, რომელიც თავისი ძლევამოსილებით მხარში უდგას საქართველოს!

**ჯემალ წულუკიძე**

**თსუ ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.**

86

# „აგიწიე, ძმაო, შტანგა?!"

## ზაურ კალანდია

ამ წერილს ორი რამის გამო ვწერ.

პირველი: სამწუხაროა, რომ ამ ბოლო დროს ქართული მწერლობის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" არაერთ აბრაკადაბრას უთმობს გვერდს, და არა ის — ბატონ ჯუმბერ კუკავას, როგორც „გლეხს, უხწავლელს" (მისი სიტყვებია — ზ. კ.) საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება რომ აქვს.

მეორე: ცოტა უფრო ადრე, ადგა ბატონი ჯუმბერი და ბატონი ნოდარ ნათაძე „სასტიკად გაანადგურა" გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე. ბატონმა ნოდარმა იუკადრისა მსგავს წერილზე პასუხის გაცემა თუ ველარ მოიცალა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ იმის საშიშროებას კი ვხედავ, ვინც ცოტა სხვანაირად აზროვნებს, ბატონი კუკავა ყველას სათითაოდ გაგვისწორდეს. აკი თავად ბრძანებს, ეს ყველაფერი (სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენებზეა საუბარი) დაიწერებაო!

გეთანხმებით, დაიწერება და მერე როგორ!

თუმცა, ეს ყველაფერი მომავლის საქმეა და ჩვენც მოთმინებით აღვიჭურვოთ, მანამდე კი თქვენი შეკითხვებით სავსე პასკვილს გავცემ პასუხს.

გაინტერესებთ და ერთობ შეწუხებულიც კი ხართ, ბატონო ჯუმბერ, რატომ ვდგავარ ოპოზიციის მხარეს, მით უმეტეს, კაცი, რომელიც არცერთ პარტიას არ ეკუთვნის!

მოგახსენებთ. უბრალო ამბავია, რომ ორი განსხვავებული აზრისგან ერთ-ერთი უფრო ხალია და მისაღებიც. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თავად უაზროდ დარჩე... მეტ სიმართლეს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, სადაც ვდგავარ, იქ ვხედავ და ამისი არაღიარება ჩემი მხრივ უზნეობა იქნებოდა. ისე, არც ოპოზიციის ყველა ქმედებას ვიზიარებ ბრმად. უფრო კონკრეტული რომ ვიყო, ვიტყვი: ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართ იმიტომ მაქვს ამდენი პრეტენზია, რომ ის ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია. მის „თავში მჯდომი" პიროვნება და რესპუბლიკის ბედ-იღბალზე, ერის დამოუკიდებლობასა თუ მოსახლეობის, თითოეული ჩვენთაგანის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა მისი უმთავრესი და უპირველესი მოვალეობაა! პრეზიდენტს არა აქვს დანაშაულებრივი შეცდომების ჩადენის უფლება და მას ჩვენზე, უბრალო მოკვდავებზე მეტი მოეთხოვება. ვფიქრობ, ამ საკითხში მაინც დამეთანხმებით.

შეცდა თუ არა პრეზიდენტი 2 სექტემბერს? შეცდა და უფრო მეტიც! ორასკაციანი მიტინგის სისხლიანმა დარბევამ ერი ორ ბანაკად გახლიჩა! 22 სექტემბრის ლამეც დიდ ცოდვად მიმაჩნია, ხოლო 4-5 ოქტომბერს მთავრობის სახლიდან „ნასროლმა ყვავილმა" თავად კინაღამ შუბლი გამიხვრიტა...

აი, ამას არ მოველოდი ერის რჩეულისგან და, რაზან მთხოვთ ახსნას — რაო, თქვენი პრეზიდენტი არ არის ზვიად გამსახურდიაო? გიპასუხებთ, სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, ჯვარს რომ მაცვან — ჩემი პრეზიდენტი ვერ იქნება (იურიდიულად მაქვს თუ არა ამისი უფლება, მართალი გითხრათ, არც ვიცი)!

პრეზიდენტის (რომელიც ერის ერთ ნაწილს მეორე ნაწილის განადგურებისკენ მოუწოდებს), სიყვარულსა და ერთგულებაში ვერ შეგეცილებით, ბატონო ჯუმბერ!

ეროვნულ მოძრაობაში არ ჩანდით, ანუ „დიდი" ლენინის ძეგლი რომ გადმოვაბრძანეთ ზუგდიდში კვარცხლბეკიდან, სად ბრძანდებოდით, მწერ. ცდებით. ზუსტად იქ ვიყავი, ბატონო ჯუმბერ, და ეს ამბავი უმალ მთელ საქართველოს ვამცნე გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მეშვეობით. აი, რას ვამბობდი: „სხვათა შორის, ამ ღირშესანიშნავ დღეს იქ შევესწარი. „ბელადის" კვარცხლბეკიდან წინწაწეული ფეხის წვერი რომ ედგა, ის ქვა გადმოვარდა და... საფლავის ქვა აღმოჩნდა! რამდენად სიმბოლურია, თავად მკითხველმა განსაჯოს!" („მართალს ვიტყვი", „ლიტერატურული საქართველო", 1990 წ. მარტი) ისე, მართალი ხარ, იმ საღამოს არც ამწის საჭესთან ვმჯდარვარ და არც ლენინის კისრისთვის „ტროსი" მომირგია და ეს უნდა „მაპატიოთ". სხვაგან უფრო ჩაძიებით მთხოვ, რატომ ვპასიურობდი პარტოკრატიასთან ბრძოლაში...

ეხ, ბატონო ჯუმბერ, ბევრს, ძალიან ბევრს თავთავიანთი ანგარიში ჰქონდა მათთან. პირადად თქვენ, დარწმუნებული ვარ კომუნისტური ხელისუფლება ერთობ გძულდათ, მაგრამ მიზეზს არ იკითხავთ მკითხველო? საზიზღარმა საბჭოთა სასამართლომ ათეული ვაგონი (!) ცემენტის „ლევად" გაყიდვისათვის რამდენიმე წლით ციხეში ჩასვა ბატონი კუკავა. გაუნაწყენდებოდა იძ დამჭერ ხელისუფლებას, აბა, არ გაუნაწყენდებოდა? (ხელისუფლება იქით იყოს, მაგრამ დაუშვათ, ცემენტის ნაკლებობისა გამო კაშხალს ბზარი შეეპარა, მაშინ?..).

სხვათა შორის, არც მე ვყავდი მაინცდამაინც კარგ დღეში დღეს უკვე ეროვნულ ხუცს, მაგრამ ღმერთი-რჯული, უანგაროდ მძულდა ისინი... რას ვაკეთებდი? დიდი არაფერი. ბატონ ზვიად გამსახურდიას და ბატონ მერაბ კოსტავას თვითგამოცემით ჟურნალებს ვავრცელებდი თბილისში, ზუგდიდში, სხვაგანაც... ქართული ენის, ისტორიის, კულტურის ძეგლების დახაცავ თუ მათი (ზვიადის, მერაბის, ვიქტორ რცხილაძის, ავთანდილ იმნაძის...) უდანაშაულობისა და განთავისუფლების მოთხოვნა-წერილებზე ხელმოწერებს მეც, ჩემს არაერთ მეგობართან ერთად, ვაგროვებდი და, თუ დამეთანხმები, ცოტა რისკიც კი იყო იმ დროს ამისთვის საჭირო! იმ ხალხთანაც ვთანამშრომლობდი, ვინც ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას არალეგალურ ჟურნალებს (მათ რუსულ თარგმანებს) საზღვარგარეთ აგზავნიდა: სხვაც შემიძლია პატარ-პატარა ამბები [illegible] ნო, მაგრამ არ ღირს...

ბატონო ჯუმბერ, [illegible] თქვენ ხშირად ანდობთ [illegible] ლალდს... ახლახან, [illegible] აგვისტოს ბოლოს, ქალაქ ზუგდიდის პრეფექტურისა და მრგვალი მაგიდის საწინააღმდეგო წერილიც კი მაჩვენეთ, მერე ადგილობრივი გაზეთის რედაქციაშიც მიგიტანიათ, მაგრამ ერთ კვირაში ისევ უკან წაგიღიათ...

მართლაც, რომ უცნაურია ადამიანის ბუნება!

თქვენ, სახალხო ფრონტის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის წევრი, 2 სექტემბრის მერე ერთბაშად მთავრობის გვერდით დადექით, მე კი პირიქით მომივიდა, ოპოზიციონერი, ანუ „ერის მოღალატე" გავხდი!

ეხ, ჩემო ბატონო ჯუმბერ, მე თუ არ მინდობ და არ მინდობ, ქართულ მწერლობას მაინც რას ერჩი?..

ერთი ანეკდოტი მახსენდება: [illegible] თაისლები ქეიფობენ თბილისის რესტორანში, თან კარგად მღერიან. წამოიწყებენ თუ არა, იმავწამს აშუყვება მეზობელი სუფრა და სიმღერა უფუჭდებათ. ერთ-ერთი მომღერალი დგება, მიდის მათთან და რა ხელობისა ხართ ბიჭებოო, — ეკითხება.

შტანგისტები ვართო, — ისმის პასუხი.

მერე მოვედი და აგიწიეთ შტანგაო?! — ხელებს შლის გაკვირვებული ქუთაისელი.

რაო, ბატონო ჯუმბერ, როგორც მწერალს მაინც რას მერჩი?

გლეხი კაცი ვარო, თავად ბრძანებთ აბა, გაიხსენეთ, ოდესმე თოხის გათლა მიხწავლებია თქვენთვის? ღმერთი-რჯული, არც ცემენტის საქმეში ჩავრევივარ...

მოკლედ, „აგიწიე, ძმაო, შტანგა?!".

---

# ნუ თავნებობთ, პრეფექტო!

მიმდინარე წლის 19 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული დუშეთის რაიონის პრეფექტურის კოლექტიური წერილი „ავს თუ ავი არ ვუწოდეთ" საქმეში ჩაუხედავ კაცს ერთობ დააბნევს.

ის კაცი, ვინც წერილი წაიკითხა და ვისაც გული შესტკივა საქართველოს მომავლისათვის, ერთი შეხედვით, მართლაც გაიფიქრებდა: აი ბიჭები, აი ხალხი, ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს რეგიონს ხელმძღვანელობენ და ეს რა წარმატებებისათვის მიუღწევიათო! დაუწყიათ პრივატიზაცია, გაულაშქრიათ კოლექტიური მეურნეობის ბურჯზე — სტალინურ კოლმეურნეობებზე, აუღიათ კომუნისტების პარპაში, მიუტანიათ იერიში სოციალისტური კანონიერების დამცველ ლენინის ორდენოსან პროკურორზე და მასთან „ხელგაწვდილ" დემოკრატიულ ოპოზიციაზე.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ საქმე რომ სხვაგვარად არის? დუშეთში საზოგადოების ერთი ნაწილი პრეფექტურის მუშაობით უკმაყოფილოა და საიდან დაიწყო, თუ იცით, ბატონო პრეფექტო, ეს უკმაყოფილება? საიდან და, როცა ჩვენმა რჩეულმა დეპუტატმა, ბატონმა გოგი ოჩიაურმა მხარზე ხელი დაგადო, და თქვა, ეს ბიჭი პრეფექტად მომწონსო, მაშინ სინდისი რომ გქონოდათ, უნდა გეთქვათ: „კარგი ბიჭი კი ვარ, ბატონო გოგი, მაგრამ არც გამოცდილება მაქვს, არც სათანადო განათლება და ტაქტი. ამხელა ტვირთს ვერ გავუძლებ, თანაც ხალხი ჭრელია. ათას რამეს წამომაყვედრის, თუნდაც იმას, რომ ყინვალჰესის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყავი (არა იმიტომ, რომ ეს დიდი ცოდვა იყო, არამედ იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც პრეფექტი გახდით, ყველას იმას აყვედრით: შენ „სუკი ხარ", შენ „წითელი", შენ „მაფია", შენ „ლენინის ორდენოსანი") ან თუნდაც იმას, რომ „მტრული ელემენტები" ყოველდღე მომძახიან: ცოტა ბოლმიანი ახალგაზრდა რომ ვარ (ბატონი პროკურორის დასახასიათებლად ხომ ხმარობთ „ბოლმას გზა მისცაო"). სწორედ ამ სიტყვით თქვენც გახასიათებენ დუშელები — „ბოლმიანი ბიჭიაო!).

ამ უთქმელობას ვინ დაეძებს და თავის ქურდობისათვის ადრე ნახამართლევი თამაზ ბულაური პირველ მოადგილედ დაისვით!

მაგ თქვენს კოლექტიურ წერილს ორი მანდილოსანიც აწერს ხელს, კარგი ქალები არიან, მაგრამ ეგენი კი არ არიან ყოფილი ფუნქციონერები რაისაბჭოს აღმასკომისა? ან მაგათ რომ მეუღლეები ყავთ, ჩინებული ქართველი ბიჭები, მაგათ მსგავს სხვა ქართველებს თქვენ ხომ იცით, როგორ ნათლავთ, როგორ და „მაფიოზებად". ახლა, მე რომ თქვენი „რევანშის" ამბავი ვიცი, აქვე ვიტყვი: მეც მხარი დაგიჭირეთ, ჩემო ბატონო ხოხო; დადებითად დაგახასიათეთ და ბატონ ზვიად გამსახურდიასთან თქვენს მხარდამჭერ დელეგაციას წევრად მეც ვახლდი, რატომ თუ იცით? იმიტომ, რომ ჩემი ქართული სინდისით და ქართული რწმენით მაგ ცოდვებს, ახლა რომ ჩამოგითვალეთ, ცოდვებად არ გითვლიდით, რადგან მჯეროდა და მწამდა (ახლაც ასე მწამს), რომ ახალგაზრდა კაცს, თუ იგი ეროვნულ მოძრაობაში გულით ჩაება, კომკავშირელობაც ეპატიება და... რომ ეს მოტივი თავს მოხვეული ცოდვაა, ჩვენი საერთო სახადივით მოხდილი ჭირი, მაგრამ იმას კი ნამდვილად არ მოველოდი, პრეფექტურაში მაღაყებით გადასვლის შემდეგ, თქვენ სხვებს თუ წამოაყვედრიდით „წითლობას", „მაფიოზობას", „აგენტობას", პროკურორის ლენინის ორდენი სიზმარშიც არ მოგასვენებდათ.

დაგიჯეროთ, ბატონო ხოხო, პროკურორთან თქვენი „მიტინგური კონფლიქტი" ფშავის კოლმეურნეობების დაშლის საბაბით მოხდა? რაზან არავინ გვამოწმებს, შუბლის ძარღვი კი არ უნდა გავიწყვიტოთ და ტყუილ-მართალი ერთმანეთში ავურიოთ. სად გავექცეთ იმ ფაქტს, რომ თქვენ და თქვენმა მოადგილემ, ბატონმა თამაზ ბულაურმა (სოფლის მეურნეობას რომ განაგებს) რაიონში კოლექტიური საზოგადოებები კი არ შეამცირეთ, არამედ გაზარდეთ, ადრე თუ 20 საზოგადოებრივი მეურნეობა იყო, დღეს მათი რიცხვი 28-მდე გაიზარდა. იქნებ რაიმე ბრძნული ჩანაფიქრი გამოძრავებთ?

ხომ არ შეგაშინათ იმ გარემოებამ, პროკურორმა თავის „უფლებამოხილებას რომ გადააჭარბა" და რაიონში მატყლის და ცხვრის განიავება-დატაცების ფაქტების გამოძიება დაიწყო? ანდა, კოლმეურნეობების დაშლის შედეგად პირუტყვის გაყიდვით რომ დაინტერესდა? ჩქარა რომ გადასულიყავით პრივატიზაციაზე, მაშინ არც პროკურორს არ დასჭირდებოდა ეს „ძიებები". ფშავში კოლმეურნეობები ადვილად და წესიერად რომ დაშლილიყო, ამისათვის „პრეფექტს" დამატებითი ბოქლომის დადება პროკურატურის კარებზე რად უნდა დასჭირვებოდა? ანდა, როგორ კადრულობს 29 კაცი ამდენ მტკნარ სიცრუეს. ან ვინ გიშლიდათ, პრეფექტსა და პროკურორს კაბინეტში წესიერად მოგეთათბირებინათ და თუ საჭირო გახდებოდა, უზენაეს საბჭოშიც ერთად წაბრძანებულიყავით პრივატიზაციისა და კოლმეურნეობების გაუქმების კანონიერების გასარკვევად. დემოკრატიული მოძრაობა დაგიჭერდათ ხელებს? ჩემი, მწვანეთა მოძრაობის წევრის, წვლილი ეროვნულ მოძრაობაში სწორედ ფშავიდან იწყება, კოლმეურნეობის იქიდან ახალგზმავად, მადლობაც უნდა გადაგიხადოთ, ჩემმა მეუღლემ, ფხოვის კოლმეურნეობის დაშლით, როგორც შუაფხოს მაცხოვრებელმა, 18 სული ცხვარი მიიღო. ჩემს საწინააღმდეგო ალიანსში მე პროკურორთან ვერ შევიდოდი, მაშ, რომელ ალიანსზე ლაპარაკობთ? არ ჯობია, ბატონო პრეფექტო არარსებული „ალიანსები" კი არა ვეძიოთ და ხალხის მტრები ვეძებოთ, არამედ რაიონის ჩაშლილ-გაუბედურებულ ეკონომიკაზე ვიფიქროთ, წლობით დაგროვილი დანაგვიანებული ქუჩები დავასუფთაოთ, ყინვასა და თოვლში გათოშილ ფშაველებს ავტობუსი დავუნიშნოთ (რომელიც ერთი წელია თვალითაც არ უნახავთ). ნათესავ-მეგობრების გარდა სხვებსაც კეთილი თვალით გადავხედოთ, უსაფუძვლოდ და უკანონოდ არ გავანთავისუფლოთ პენსიონერები და „არასაჩვენო" ხელმძღვანელი მუშაკები სამსახურებიდან. არ ჯობდა, ჩვენი დეპუტატი, ბატონი გოგი ოჩიაური იმის მაგივრად, რომ საიდუმლო სერობებს მართავდეს თქვენთან, ერთხელ მაინც შეხვდეს რაიონის საზოგადოებას და ჰკითხოს, რა უჭირს, რა გზას დაადგეს, რა გააკეთოს, როგორ დავაღწიოთ თავი ამდენ გაჭირვებას და უბედურებას, ერთხელ მაინც შეგვახსენოს თავისი საარჩევნო პროგრამა. გვიპასუხოს, რატომ დუმს უზენაეს საბჭოს სესიებზე, რატომ არ ჩანს, როგორც რაიონის წინსვლით დაინტერესებული დეპუტატი, თუ დეპუტატს მარტო ის ევალება, რადაც უნდა დაუჯდეს, მისი რჩეული პრეფექტი ბოლომდე „გაიტანოს", ყოველთვის, როცა პრეფექტს მოხსნის საფრთხე დაემუქრება, მის მომხრეთა „მობილიზაცია მოახდინოს" და უზენაეს საბჭოში წარადგინოს „რაიონის სახელით?!"

ანდა, თქვე კაი ხალხო, ამ ბატონ რაიონის პროკურორს დემოკრატიის „ცოდვები" რაღას აჰკიდეთ ზურგზე, თავისი (თუ აქვს) არ ეყოფოდა? ანდა, ეს დემოკრატია ის ქალი ხომ არ არის, უხეირო ქმარი რომ სტყეპავს ყოველთვის, როცა გარეთ საქმეები კარგად ვერ წაუვა. დუშეთის დემოკრატიულმა მოძრაობამ პროკურორი დაიცვა ქუჩური თავდასხმისაგან, რომელიც „ეროვნულ მოძრაობას უშლის ხელს".

ერთი გასროლით სამ კურდღელს ჰკლავთ, პოზიციებს იმაგრებთ, უფრო ეროვნულები ჩანხართ, ვიდრე სინამდვილეში ბრძანდებით და საკუთარი დანაშაულის მიჩქმალვას ცდილობთ. ჩვენ მაინც სამართლიანობის იმედი გვაქვს, ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ ამდენ სიცრუეს, და თვალში ნაცრის შეყრას ბოლო მოეღება, ვიმედოვნებთ, ხვალ რაიონული რედაქციის კარებს არ აჭედავს პრეფექტურა, რედაქციისა და „ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების საეჭვო ალიანსს" გამოსაშკარავებლად. ვიმედოვნებთ, აღარ დაწერთ კოლექტიურ მაბეზღარა წერილებს და მიხვდებით, რომ საეჭვო, აკრძალული, ადამიანის ღირსების შემლახავი ილეთებით ზურგზე არ უნდა დასცე შენი მოწინააღმდეგე, პიროვნება, რომლის დანაშაულიც მხოლოდ ის გახლავთ, რომ გულუბრყვილოდ ჩათვალა, კვლავ სამართალდარღვევებთან ბრძოლა მევალებაო.

ძალიან შეეშალა საწყალ პროკურორს; რაიონის მოსახლეობაში (სხვათაშორის, სახელმოხვეჭილ ადამიანებშიც) საკმაოდ ავტორიტეტულ პიროვნებას, ძვირად დაუჯდა დემოკრატების მხრიდან მხარდაჭერა, დემოკრატებსაც ძვირად დაუჯდათ ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით გადადგმული ნაბიჯი. ვერ აპატიეს პროკურორში „ეროვნული მოძრაობის მტერი" და ადრინდელ „დანაშაულს", უნივერსიტეტისა და ტელევიზიის წინ გამართულ მიტინგებში მონაწილეობას, (რომელშიც სხვათაშორის, თქვენი პრეფექტურის წევრებიც მონაწილეობდნენ), ახალი „დანაშაულიც" მიუმატეს. ასე, რომ, ძვირფასო ხოხო ლუდუშაურის მსგავსო პრეფექტებო, თუ თქვენთვის რომელიმე არასასურველი პიროვნების მოშორებას მოიწადინებთ, დუშელ დემოკრატებს მოუხმეთ საშველად.

თუ „საქართველოს რესპუბლიკა" პატივს დაგვდებს და ამ წერილს დაბეჭდავს, დიდ მადლობასთან ერთად ერთ „უმორჩილეს" თხოვნასაც შევკადრებთ. რედაქციის მინაწერში მეტისმეტად ნუ დაგვაბნევთ და უბრალო ქართულ ენაზე განგვიმარტეთ: რა ევალება პრეფექტურას, რაიონის დეპუტატს უზენაეს საბჭოში — მოსახლეობაში არევ-დარევის შეტანა? თეთრის შავად და შავის თეთრად გასაღება? მოყვრებში მტრების ძებნა? ანდა, რა დაევალება ახლად დანიშნულ რაიონის პროკურორს — სამართალდარღვევებთან ბრძოლა თუ „ტროიკების" მსგავსი დამსჯელი რაზმების შედგენა. კვლავ გაჩნდება პროკურორი ხალხის დახაცავი თუ პროკურორი დაიცავს ხალხს უწესრიგობისა და უსამართლობისაგან, შეურაცხყოფისა და ადამიანური უფლებების ხელყოფისაგან? ანდა ის გვითხარით, პრეფექტის მუშაობით უკმაყოფილო ადამიანებმა პრეფექტურის კარებს რომ ბოქლომი დადონ, თუნდაც „თავის დაზღვევის მიზნით", ეს ადამიანებიც მშრალად გამოვლენ „ამ საქმიდან", როგორც ბატონი პრეფექტი გამოვიდა? ანდა რესპუბლიკის (ან ადგილობრივი) პროკურატურა ხულიგნობისათვის ხომ არ გაგვასამართლებს?

P.S. ეს წერილი მივიტანეთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში", სადაც მტკიცე უარი გვითხრეს დაბეჭდვაზე.

ბელა წვერაძე

ჟურნალისტი, დუშეთის რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის წერილების განყოფილების გამგე.

ინდექსი 66447
ფასი 10 კაპ.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35. ტელ. 22-16-01.
იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოში"
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქტორი ნოდარ ბრიგალაშვილი